

2022 წ


ფ. პ. დავით შალამბერიძე

ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. N84, ავტოგასამართი სადგურის
ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლოატაციის
პროექტზე

სკრინინგის განცხადება

შემსრულებელი: შპს „სამნი“
მის.: ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. N28
ტელ.: 5 91 15 72 72
E-mail: samni2011@gmail.com
დირექტორი: თ. კვპულაძე

მინდობილი პირი: ა. ქოჩიაშვილი
მის.: ქ. ბაღდათი, თბილისის ქ. N16
ტელ.: 5 99 17 78 99
E-mail: aqochiashvili2020@gmail.com



ქუთაისი 2022 წ

შინაარსი

1. ზოგადი ცნობები.....	2
2. ობიექტის განთავსება.....	2
3. საპროექტო ტერიტორიის დახასიათება.....	10
4. ინფრასტრუქტურის ელემენტები.....	12
5. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	14
6. წყალმომარაგება კანალიზაცია.....	15
7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში.....	21
7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	21
7.2. ხმაურის ზემოქმედება.....	22
7.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.....	22
7.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	23
7.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	24
7.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე.....	25
7.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	26
7.8. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	27
7.9. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	28
7.10. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	28
7.11. კუმულაციური ზემოქმედება.....	28
7.12. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	29
7.13. ავარიული სიტუაციები.....	30
და ნ ა რ თ ე ბ ი.....	34
დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	35
დანართი 2. მინდობილობა.....	37

1. ზოგადი ცნობები

ფ/პ დავით შალამბერიძეს (პ/ნ 01009014779) ბაღდათის მუნიციპალიტეტში, კახიანის ქ.№84, საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 656მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 30.11.32.568) (დანართი 1) დაპროექტებული აქვს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა ხუთი 20-20მ³ მოცულობის რეზერვუარით (ჯამური მოცულობა 100მ³). რადგან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ მოცემულია ცხრილში №1.1.

ცხრილი № 1.1. ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ.

ოპერატორი კომპანია	ფ/პ დავით შალამბერიძე
საიდენტიფიკაციო კოდი	01009014779
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№51, კორპ.4, ბ.79
საქმიანობის განხორციელების მისამართი მისამართი	ქ. ბაღდათი, კახიანის ქ.№84
საქმიანობის სახე	საწვავის რეალიზაცია
მინდობილი პირი	ამირან ქოჩიაშვილი (დანართი 2)
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 17 78 99
E-mail	aqochiashvili2020@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72
E-mail	samni2011@gmail.com

2. ობიექტის განთავსება

ფ/პ დავით შალამბერიძის (პ/ნ 01009014779) ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია თავისივე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 30.11.32.568), რომელიც მდებარეობს ქ. ბაღდათში, კახიანის ქ.№84. ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია №2.1 ნახაზზე.

ნახაზი 2.1. ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა.



საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება:

- ჩრდილოეთის მხარიდან - საზოგადოებრივი ცენტრი (სურათი 2.1)
- ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარიდან - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვეთი 30.11.32.567);
- დასავლეთისდან - კახიანის ქუჩა და მის შემდეგ კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, კვების ობიექტი და მარკეტი (სურათი 2.2, 2.3 და 2.4);
- სამხრეთიდან - კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები (სურათი 2.5).

საპროექტო ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები მოცემულია №2 ნახაზზე.

ნახაზი 2.2. ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები.



უახლოესი სახლი განთავსებულია ტერიტორიიდან სამხრეთით - 21 მ-ის დაშორებით (სურათი 2.5). ტერიტორიიდან ჩრდილოეთით - 21 მ-ის დაშორებით განთავსებულია საზოგადოებრივი ცენტრი (სურათი 2.1), 70 მ-ის დაშორებით შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის საავადმყოფო, ხოლო 110 მ-ის დაშორებით ბაღდათის მუნიციპალიტეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტი. ტერიტორიიდან დასავლეთით 18მ-ის დაშორებით მდებარეობს კვების ობიექტი (სურათი 2.3), ხოლო 22მ-ის დაშორებით მარკეტი (სურათი 2.4).

უახლოესი მდინარე, მდ. ხანისწყალი, ტერიტორიიდან დაშორებულია 610მ-ით. ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზზე 2.3, ხოლო საპროექტო ინფრასტრუქტურის მდებარეობა და დაშორებები უახლოესი ობიექტებიდან ნახაზზე 2.4.



სურათი 2.1. საზოგადოებრივი ცენტრი



სურათი 2.2. კახიანის ქუჩა



სურათი 2.3. კვების ობიექტი





სურათი 2.4. მარკეტი



სურათი 2.5. უახლოესი საცხოვრებელი სახლი

ნახაზი 2.3.





ნახაზი 2.4.

3. საპროექტო ტერიტორიის დახასიათება

როგორც აღნიშნული იყო აგს-ის განთავსება დაგეგმილია ქ. ბაღდათში, კახიანის ქუჩაზე. საპროექტო ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამედიცინო დაწესებულება. ამჟამად შენობა ამორტიზებულია. ნაკვეთი შემოუღობავია და ტერიტორიაზე შეიმჩნევა სამშენებლო ნარჩენები (სურათი 3.1). ტერიტორია თავისუფალია ხემცენარეებისაგან, მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს განთავსებულია ექვსი ძირი მრავალწლოვანი წიწვოვანი ნარგავი, რომელიც შენარჩუნებული იქნება (სურათი 3.2). კახიანის ქუჩას ორივე მხარეს მიუყვება ჰიმალაიური კედარის ჯიშის ხეები (სურათი 3.3).

დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე არანაირი სამშენებლო სამუშაოები დაწყებული არ არის.



სურათი 3.1.




სურათი 3.2.



სურათი 3.3.

4. ინფრასტრუქტურის ელემენტები


საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ელემენტები მოცემულია ნახაზი 4.1-ზე და შედგება: ოფისი და საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, ავტოცისტერნის პლატფორმა, საჩამომსხმელო სვეტები, ავტოსამრეცხაო და სალექარი. პერსპექტივაში ნავარაუდებია ტერიტორიაზე არსებული ორსართულიანი შენობის რეაბილიტაცია და მასში სავაჭრო ობიექტების მოწყობა.



ნახაზი 4.1.

სარეზერვუარო პარკი მოიცავს ხუთ ჰორიზონტალურად განთავსებულ 20-20 მ³ მოცულობის ავზს (ჯამური მოცულობა 100მ³), რმელთაგან 3 განკუთვნილია ბენზინისათვის, ხოლო ორი დიზელისათვის.

ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან მობეტონებულ ბაქანზე ავზების ჩრდილოეთ მხარეს. ავტოგასამართ სადგურზე ავტოტრანსპორტის სამოდრაოდ განკუთვნილი ტერიტორია იქნება მობეტონებული. მოედნის პერიმეტრზე მოეწყობა სანიაღვრე წყალშემკრები არხი, რომლის საშუალებითაც ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები და ატმოსფერული ნალექის წყალი შეიკრიბება და ჩაედინება სალექარში საიდანაც, გადავა არსებულ ღია სანიაღვრე წყალგამტარ არხში (სურათი 4.1). დაპროექტებული სალექარის სქემა მოცემულია ნახაზზე №4.2.



ნახაზი 4.2. გამწმენდი ნაგებობა

მიწისქვეშა რეზერვუარებიდან, საწვავი მიეწოდება საჩამომსხმელო სვეტებს. ავზ-ზე მოეწყობა ორი გასამართი სვეტი. თითოეული სვეტი აღჭურვილი იქნება რვა ფისტოლეტით, რომელთაგან ექვსი განკუთვნილი იქნება ბენზინისათვის, ხოლო ორი - დიზელისათვის, ჯამურად - თორმეტი

ფიტოლექტი - ბენზინისათვის, ხოლო ოთხი - დიზელისათვის. წლიურად იგეგმება 1 000 000 ლ ბენზინისა და 1 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.



სურათი 4.1.

5. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

დაგეგმილია აგს-ისა და ავტოსამრეცხაოს ყოველდღიურად ფუნქციონირება, 360 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით.

მომუშავეთა რაოდენობა იქნება 7 ადამიანი, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ობიექტის ადმინისტრაციას, 4 თანამშრომელი განაწილებული იქნება ავტოგასამართ სადგურზე ცვლებში, ყოველდღიურად ერთი კაცი, 2 კაცი იმუშავენს ავტოსამრეცხაოში.

6. წყალმომარაგება კანალიზაცია

ობიექტის წყალმომარაგება მოხდება ქალაქის ქსელიდან საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წყალი გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა, ასევე მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება მხოლოდ ტექნოლოგიურ მოედნზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩარეცხვის მიზნით.

დღის განმავლობაში ობიექტის ტერიტორიაზე იქნება 3- ან 4 თანამშრომელი, მათი საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება $4 \times 25 = 100$ ლ/დღ.

მოქალაქეთა სველი წერტილებით მომსახურებისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 200 ლ/დღეში წყლის გამოყენება. სულ, საყოფაცხოვრებო მიზნით დღეში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 300 ლ. რაც წლის განმავლობაში შეადგენს $360 \times 300 \times 10^{-3} = 108$ მ³.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება საჭიროა ავტოგასამართის მოედნის მოსარეცხად. მოედნის რეცხვა მოხდება დღეში ერთჯერ. მოედნის ფართობი შეადგენს 60 მ²-ს. რეცხვა განხორციელდება კერხებით, რომლის წყლის ხარჯი შეადგენს წუთში 10 ლიტრს, მოედნის მოსარეცხად საჭიროა 4-5 წთ. შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება $5 \times 8 = 50$ ლ. $50 \times 360 = 18000 = 18$ მ³/წელ.

ავტოგასამართზე დაგეგმილია ავტოსამრეცხაოს მოწყობა, ორი ბოქსით. ავტოსამრეცხაო განთავსდება ტერიტორიის სამხრეთ საზღვართან. დღის განმავლობაში ნავარაუდევია 16 მსუბუქი ავტომანქანის გარეცხვა. გამოყენებული იქნება ომაქსის მარკის კერხები, 13-15 ლ/წთ-წარმადობით. თითოეული მანქანის რეცხვას დასჭირდება (წყლის ჭავლი 10 წუთი) 150 ლიტრი წყალი, რაც დღის განმავლობაში შეადგენს 2,4 მ³-ს. რადგან ავტოსამრეცხაო მუსაობს მხოლოდ მზიან ამინდებში, წელიწადში 200 დღე. წყლის ხარჯი წელიწადში იქნება 480 მ³.

ამდენად, სულ ობიექტის წყლის წლიური ხარჯი იქნება $480 + 18 + 109,5 = 607,5$ მ³.

წყალალრიცხვა განხორციელდება ქსელში დამონტაჟებული მრიცხველის საშუალებით (სურათი 6.1).

ავტოგასამართ სადგურზე ძირითადად წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდნარე წყალი, რომლის მაქსიმალური რაოდენობა დღის განმავლობაში შეადგენს 240 ლ-ს. ხოლო წელიწადში 87,6 მ³.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ავტოსამრეცხაოში და აგს-ის ტერიტორიის მორეცხვის შედეგად, რომელის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს:

1. ავტოსამრეცხაოს - 2,16 მ³/დღ. 432 მ³/წელ.
2. ტერიტორიის 45 ლ/დღ. წელიწადში 16,2 მ³.




სურათი 6.1.

რადგან, ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეკრება და შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში. ორმოს საასენიზაციო მომსახურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ავტოსამრეცხაოსა და ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის გათვალისწინებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობების, ნავთობპროდუქტების დამჭერის მოწყობა (ნახაზი 4.2). ტექნოლოგიურ მოედანზე მოწყობილი იქნება წყლის შემკრები არხები, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ნავთობდამჭერში, გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება არსებულ სანიაღვრე არხში. ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე ასევე იქნება ნარეცხი წყლის შემკრები არხები, რომლებიც მიმართული იქნება ნავთობპროდუქტების დამჭერში.

ჩამდინარე წყლები წყალშემკრები არხების მეშვეობით ჩაედინება ქალაქის სანიაღვრე არხში შემდეგ GPS კოორდინატზე X – 319929 ; Y – 4660969 (სურათი 6.2). სანიაღვრე არხი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შემკრებს და გამტარს. ანალოგიური არხები ჩამოედინება სხვა ადგილებიდანაც და მათი შეკრება ხდება X – 320154 ; Y – 4661081 (სურათი 6.3). აღნიშნული წერტილის შემდეგ არხი მიედინება ღია კალაპოტში (სურათი 6.4) და X – 320280 ; Y – 4661421 წერტილში ხდება სხვა ანალოგიური არხებიდან ჩამონადენი წყლების შეკრება (სურათი 6.5). საბოლოოდ ჩადინება მოხდება მდ. ხანისწყალში შემდეგ კოორდინატზე X – 320169 ; Y – 4661502 (სურათი 6.6). ობიექტის წყალჩაშვების სქემა მოცემულია ნახაზზე 5.1.



ნახაზი 5.1. წყალჩაშვების სქემა.



სურათი 6.2.



სურათი 6.3. არხების შეკრების წერტილი.



სურათი 6.4. ღია არხის ფრაგმენტი.



სურათი 6.5. არხების შეკრების წერტილი.



სურათი 6.6. მდინარეში ჩაშვების წერტილი.

7. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა- ექსპლუატაციის პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით, ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

7.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ობიექტის მშენებლობის ეტაპზე დაბინძურების სტაციონალური წყაროები არ არის. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შეიძლება მოხდეს ფხვიერი სამშენებლო მასალების ამტვერებისა და ტექნიკის მუშაობის შედეგად, რა დროსაც შეიძლება გამოიყოს აირადი კომპონენტები. იმის გათვალისწინებით რომ მშენებლობის პროცესი გაგრძელდება ორი თვე, ხოლო მძიმე ტექნიკის მუშაობის ხანგრძლიობა გაცილებით ნაკლები იქნება, არ არის მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედება. ამასთანავე კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკურად გამართული მანქანა-მექანიზმების გამოყენება, რათა არ მოხდეს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებზე გადამეტება.

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია მავნე აირების გამოყოფა ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელისა და ბენზინის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

- ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავაზე;
- ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდებია წლიურად 1 000 000 ლ ბენზინის და 1 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

ბენზინისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1\,000\,000 \times 1,4 / 10^6 = 1,4 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1,4 \times 10^6 / (360 \times 24 \times 3600) = 0,045 \text{ გ/წმ};$$

დიზელისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1\,000\,000 \times 0,0025 / 10^6 = 0,0025 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,0025 \times 10^6 / (360 \times 24 \times 3600) = 0,0001 \text{ გ/წმ};$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:

$M=0,0451$ გ/წმ

$G=1,4025$ ტ/წელ.

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მშტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.

გასათვალისწინებელია, რომ ავზები აღჭურვილი იქნება დამცავი სარქველით.

7.2. ხმაურის ზემოქმედება.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. დაგეგმილი წარმადობისა და ავზების მოცულობის შესაბამისად, ბენზინის საწვავის ავზების (თითოეულის) შევსება საჭიროა წელიწადში დაახლოებით 17-ჯერ, ხოლო დიზელის საწვავის ავზების (თითოეულის) - 25-ჯერ. ამდენად საწვავის მიღება-შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში საშუალოდ 42-ს, აღნიშნული ინტენსივობა არ იქნება შესამჩნევი გარემოსათვის. რაც შეეხება საწვავის რეალიზაციას, როგორც წესი სერვისით სარგებლობენ ავტომანქანები, რომლებიც ობიექტის განთავსების მიმართულებით გადაადგილდებიან. გასამართი სადგურის ფუნქციონირება არ იწვევს დამატებითი სატრანსპორტო ნაკადის შექმნას.

ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. მითუმეტეს, ტერიტორიაზე 10 კმ/სთ-მდე შეზღუდული იქნება გადაადგილების სიჩქარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

7.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.

როგორც §3-ში იყო აღნიშნული აგს-ის განთავსება მოხდება ქ. ბაღდათში, კახიანის ქუჩაზე. ტერიტორია და მასზე არსებული ორსართულიანი შენობა ამორტიზებულია. მათი ამ სახით შენარჩუნება უარყოფით გავლენას ახდენს გარემოსა და მოსახლეობაზე. პროექტის მიხედვით მოსაწყობი ობიექტის გარეგანი იერსახე მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ადგილობრივ ლანდშაფტთან. ამასთანავე მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტური სიტუაციის მოწესრიგებას და უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო აგს-ის გრაფიკული მოდელი მოცემულია სურათზე 7.1.



სურათი 7.1. საპროექტო აგს-ის გრაფიკული მოდელი.

7.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

საწარმოს მოწყობის დროს ზედაპირული და გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნას სამშენებლო ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვით, ან/და ტერიტორიიდან ნარჩენების გაფანტვით, აღნიშნული შესაძლებელია ექსპლუატაციის ეტაპზეც. უსაფრთხოების წესებისა და ნარჩენების მართვის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება შესაძლებელია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი ზემოქმედებით.

პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია არასათანადოდ გაწმენდილი ჩამდინარე წყლების სანიაღვრე არხში ჩაშვებით. ობიექტიდან ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ტექნოლოგიურ მოედანზე და ავტოსამრეცავოში. საოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან.

ავტოგასამართის ტერიტორია გადახურული იქნება, საწარმოო მოედანზე არ მოხდება ატმოსფერული ნალექების წყლის მოხვედრა. საწარმოო მოედნის გარშემო მოწყობა შემკრები არხი. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩანარეცხი წყალი შეიკრიბება ზემოაღნიშნული არხით და მიეწოდება ნავთობდამჭერს. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება არსებულ სანიაღვრე არხში, სათანადო გაწმენდის შემდეგ, საათში 0,045 მ³-ის ოდენობით.

ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი რაოდენობაა 0,27 მ³/სთ. ჩამდინარე წყლების ჯამური რაოდენობა იქნება 0,315 მ³/სთ (0,0000875 მ³/წმ).

იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ჩამდინარე წყლების ჯამური ხარჯი მცირეა (0,315 მ³/სთ 0,0000875 მ³/წმ), სათანადო გაწმენდის შემდეგ მისი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას წყლის ობიექტის მდგომარეობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სანიაღვრე ქსელის გავლით ჩამდინარე წყლები ჩაედინება მდ. ხანისწყალში, რომლის საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 22,8 მ³/წმ-ს შეადგენს, ჩამდინარე წყლების ასეთი ინტენსივობით ჩაშვება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მის ხარისხზე.

რაც შეეხება აგს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის წყლების დაბინძურებას, რისკი ძალიან დაბალია, რადგან მთლიანი ტერიტორია დაფარული იქნება არმირებული ბეტონის ზედაპირით, მიწისქვეშა ავზები კი განთავსდება უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით.

არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ავარიული სიტუაციებისა და გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ნავთობპროდუქტების დაღვრით, ნარჩენების ტერიტორიის გარეთ გაფანტვით.

ამდენად, თუ ობიექტის მოწყობა-ფუნქციონირების დროს დაცული იქნება უსაფრთხოებისა და გამწმენდი სისტემების ექსპლუატაციის წესები ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

7.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე.

მშენებლობის ეტაპზე ერთსართულიანი შენობისა და გადახურვის მოწყობისათვის გათვალისწინებულია წერტილოვანი საძირკველების მოწყობა, ტერიტორიის მოსწორება, არმირება და ბეტონის საფარით დაფარვა. მშენებლობისა და მონტაჟის პროცესში შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე რაოდენობით ლითონის ნაჭრები, სამშენებლო მასალების შესაფუთი მასალები, რომლებიც მშენებლობის ორგანიზების პროცესში შეგროვებული იქნება ცალ-ცალკე. ლითონის ჯართი ჩაბარდება ჯართის შემგროვებელ პუნქტებს. მყარი არასახიფათო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას. მუნიციპალური ნარჩენების გადაცემაზე გაფორმდება ხელშეკრულება ააიპ ბაღდათის სპეციალურ სერვისებთან.

როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე. დახურულ შენობაში მოეწყობა სახიფათო ნარჩენების სათავსო, სადაც განთავსდება მარკირებული კონტეინერები.

აგს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 7 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $7 \times 0,73 = 5,11$ მ³, გარდა აღნიშნულისა მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ტერიტორიაზე მოხვედრილი ადამიანების მომსახურებით, რაც დღის განმავლობაში არ გადააჭარბებს 0,05 მ³-ს, წელიწადში შეადგენს 18 მ³, რომელიც გატანილი იქნება ბაღდათის მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები 15 02 02*; ნავთობის შემცველი ნარჩენები 16 07 08*; ნავთობდამჭერის ლექი 13 05 03*, სალექარის გაწმენის შედეგად მიღებული ნავთობიანი წყალი 13 05 07*). წლის განმავლობაში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ გადააჭარბებს 50 კგ-ს. თითოეული ნარჩენი დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში. ნარჩენების განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

7.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე

ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი. დაფარულია ნაყარი ფენითა და ხვინჭა-ღორღით, მცირე ზომის ლოდების ჩანართებით და თიხნარის შემავსებლით. შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება გრუნტის ხარისხზე უარყოფით გავლენას, აღნიშნული მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით, ან/და ნარჩენების არასათანადო მართვით გარემოს დაბინძურების შედეგად.

საწარმოში მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესები, ტერიტორიაზე არ დაიშვება გაუმართავი და ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, რომლიდანაც ჟონავს ზეთი.

ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკები არ იქნება მაღალი, რადგან ტერიტორია დაფარული იქნება მყარი საფარით, ხოლო ატმოსფერული წყლების დაბინძურების რისკის მქონე უბნებიდან მოხდება წყლების შეკრება და ნავთობდამჭერ დანადგარში გაწმენდა.

ამდენად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების დაცვის შემთხვევაში გრუნტის დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

7.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

როგორც აღნიშნული იყო, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ქ. ბაღდათში, ურბანულ ზონაში. ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისაგან. ობიექტის პროექტში გათვალისწინებულია გამწვანების ზონის, სკვერის მოწყობა.


საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით, გზის გასწვრივ განთავსებულია 7 ძირი ჰიმალაიური კედარი (სურათი 6.2). ობიექტზე (საწვავის შემოტანა, რეალიზაცია) მისასვლელი გზები დაპროექტებულია ისე, რომ ხეების მოჭრა არ მოხდება, ასევე ექსპლუატაციის პროცესში აღნიშნულ ხეებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი დაბალია.

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ცხოველთა საბინადროდ არახელსაყრელია.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის მდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500 მ-ის რადიუსში არ არის განლაგებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. უახლოესი კულტურულ-ისტორიული ძეგლი მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით 1 050 მ-ის დაშორებით, აღმოსავლეთით 1 240მ-ის დაშორებით მდებარეობს მაჭავარიანის სალოცავის ნანგრევები, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით - 1 940მ-ის დაშორებით დიმის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია (ნახაზი 6.1). ობიექტების დიდი მანძილით დაშორებისა და საპროექტო საწარმოს ტიპისა და მასშტაბის გათვალისწინებით კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს გავლენის ზონაში დაცული ტერიტორიები არ არსებობს. უახლოესი დაცული ტერიტორია არის აჯამეთის აღკვეთილი, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 3 170მ-ით (ნახაზი 6.1). აქედან გამომდინარე მასზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.



ნახაზი 6.1.

7.8. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

ობიექტის მოწყობის პროცესში საჭიროა ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების (არმატურის, ბეტონის ხსნარისა და სხვა) შემოზიდვა, რაც განხორციელდება მძიმეწონიანი, სატვირთო ტრანსპორტით. მშენებლობის 2 თვიან პერიოდში სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების შემოზიდვისათვის საჭირო საჭირო იქნება ათამდე გადაზიდვა. არსებულ გზაზე ინტენსიური მოძრაობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადების აღნიშნული რაოდენობა ვერ მოახდენს შესამჩნევ გავლენას არსებულ ფონზე.

ვინაიდან ავტოგასამართის მოწყობა დაგეგმილია ქ. ბაღდათში, ურბანულ ზონაში. არსებული აგს-ების ქსელის გათვალისწინებით, დამატებითი ნაკადების შექმნა მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ობიექტის ფუნქციონირებისას საჭირო საწვავის შემოტანისას სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზებას, დაგეგმილი საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ორივე სახეობის საწვავზე შეადგენს წელიწდში 42 - გადაზიდვას (17 ბენზინის საწვავისათვის, 25 დიზელის საწვავისათვის). ამდენად დამატებითი სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა კვირაში 1-ზე ნაკლებია, რაც ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს არსებული სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე.

7.9. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

ობიექტის ადგილმდებარეობიდან და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის .

7.10. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (7 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა (ავტოგასამართი, მარკეტი, სველი წერტილები, ავტო სამრეცხაო) დადებითად აისახება ასევე გზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

კომპანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

7.11. კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი ობიექტის 500 მ-იან ზონაში ანალოგიური ტიპის მოქმედი ობიექტი არ არის. უახლოესი მოქმედი აგს, ჩრდილოეთის მიმართულებით (ფერსათის გალფის აგს) დაშორებულია 570მ-ით, ხოლო სამხრეთის მიმართულებით (ვისოლის აგს) – 1 090მ-ით (ნახაზი 6.2). ამისა და საპროექტო ობიექტების პარამეტრების გათვალისწინებით ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.



ნახაზი 6.2.

7.12. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე

სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომატების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდული იქნება 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

7.13. ავარიული სიტუაციები.

აგს-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული რისკების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტიშ შესაბამისად.

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია საწარმოს მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

შესაძლო ავარიებიდან საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

ავტოგასამართის სადგურის პროექტის შედგენა მოხდება უსაფრთხოების მოთხოვნებისა და შპს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად.

- ავტოგასამართ სადგურზე განთავსდება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;
- ბ) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;
- გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ტერიტორიიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;
- დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;
- ე) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.

- ავტოგასამართი სადგურების საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს. წვადი აირების რეზერვუარების შევსების დონე მიწისქვეშა განლაგების დროს არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს, ხოლო მიწისზედა განლაგებისას - 85%-ს.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტროობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოცისტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების

მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოცისტერნასთან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასთან შემაერთებელი ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

- ტექნოლოგიური ჭების ლუკების ხუფები, ავტოგასამართი სადგურის კარები და ლუკიები, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო (შესრულებული ფერადი ლითონებისაგან ან აღჭურვილი ნაპერწკალუსაფრთხო შუასადებებით).

- ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას საჭიროა შემდეგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:

- ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების ძრავას ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვლით;

- ბ) დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნას ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

- გ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას;

- დ) საწვავის ჩასხმა მიწის ან პოლიეთილენის ტარაში ანტისტატიკის გარეშე აკრძალულია. ავტოგასამართ სადგურებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მოძრავ ავტოგასამართ სადგურებზე დაუშვებელია:

- ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;

- ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;

- გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

- დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

- ე) სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, რომლებშიც იმყოფებიან მგზავრები (მსუბუქი ავტომობილების გარდა);

- ვ) საშიში ტვირთის (ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეკუმშული და გათხევადებული საწვავი აირები, ადვილალეზადი სითხეები და მასალები, მომწამლავი და რადიოაქტიური ნივთიერებები და სხვა) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული საწვავ-გასამართი პუნქტებისა (მითითებული გამოწვევის არ ვრცელდება აირის ავზების მქონე ავტომობილის გამართვაზე);

- ზ) ტრაქტორების შესვლა, რომლებიც არ არის მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობებით;

თ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების შეკეთებასთან;

ი) საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარებში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები. ამ შემთხვევაში საწვავ-სარიგებელ სვეტებსა ან გასამართ კუნძულებზე (უბნებზე) უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი ნიშნები;

კ) საწვავის გადასხმა გამართვის დროს;

ლ) სარემონტო და საცეცხლე სამუშაოების განხორციელება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარების ადგილიდან 20 მეტრის რადიუსში;

მ) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტოცისტერნის მოედანზე ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ან ტექნოლოგიური ჭების სახურავების გახსნის დროს;

ნ) სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება (საწვავით გამართვის გარდა), ტექნიკური მომსახურება ან მძღოლებისა და მგზავრების მომსახურება;

ო) შენობა-ნაგებობების, სათავსების და დანადგარების გამოყენება საპროექტოდოკუმენტაციით განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულების გარდა.

- დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.

- ზონებში, რომლებშიც შესაძლებელია წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევების წარმოქმნა, აკრძალულია:

ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, რომელთა დამცავი დამიწება და მაბლოკირებელი მოწყობილობები გაუმართავია, ხოლო გარსი დაზიანებულია;

ბ) ელექტრომოწყობილობის კორპუსის დაშლა, თუ მისი დენგამტარი ნაწილები იმყოფება ძაბვის ქვეშ;

გ) დაცვის აპარატებით ავტომატურად გათიშული ელექტროდანადგარების ჩართვა, მათი გათიშვის მიზეზების დადგენამდე;

დ) ელექტროდანადგარების ჩართვა გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;

ე) დამცველების დნობადი არაკალიბრებული ნაწილების, აგრეთვე თბური რეაქციების გამახურებელი ელემენტების გამოყენება;

ვ) ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების კვების წყაროებში სხვა აპარატების ან წრედების მიერთება, რომლებიც არ შედის აღნიშნული ხელსაწყო კომპლექტში.

- ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამომსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა იკვეთებოდეს.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის

მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებით.

- ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა გადამუშავდეს ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეკონსტრუქციის ან/და გადაიარაღების, მოწყობილობის ტექნოლოგიის, საპროექტო-გეგმარებითი გადაწყვეტების, ექსპლუატაციის წესის შეცვლის დროს, აგრეთვე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების წარმოშობის შესახებ ახალი მონაცემების არსებობისას.

- ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსების მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტერდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.

ზემოაღნიშული წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების აღმოცენებისა და გავრცელების რისკი იქნება ძალიან დაბალი.

დაწარმებო

დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მწიკს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 30.11.32.568**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021389008 - 20/05/2021 14:02:22

მომზადების თარიღი
27/05/2021 14:03:17

საკუთრების განყოფილება

მონა ბაღდათი	სექტორი ქ. ბაღდათი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
30	11	32	568	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 3656.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 30.11.32.560; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი N1 საერთო ფართობი 1046.36 კვ.მ

მისამართი: ქალაქი ბაღდათი, ქუჩა კახიანის, N 84

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021389008 , თარიღი 20/05/2021 14:02:22
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/05/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N4 , დამოწმების თარიღი: 13/05/2021 , სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრეები:

დავით შალამბერიძე , P/N: 01009014779

მესაკუთრე:

დავით შალამბერიძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღადა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინიკრი პარის მიერ 2 წლამდე ეალთ საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტო ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამეცხოველო გადასახადო გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკრი პარი ამავე ეადამო წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ორგანიის აღნიშნული ეალღებულების შექსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის, რაც აწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამინაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ცერტიფიცირებულ სარეგისტრაციო საშახურში, აუტოციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პარტნიორს;
- ამინაწერში გვეჩიკერი ხარეუბის აღმოსმენის შემხედველამო დავეკავშირდეთ: 2 405405 ან პარადად შეიქეით განიხადო ვებ-გვერდზე;
- კომსუღრეციის მიღება შესაძლებელია აუტოციის სახდის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თინამშრომელია მშროდანი უკანონო ქმედების შემხედველამო დავეკავშირდეთ ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენიების საინფორმაციო ნებისმიერ საკითხთან დავეკავშირდეთ მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. მიწდობილობა.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიბათას ოცდაერთი წლის ხუთი ნოემბერი
საქართველოს ნოტარიუსი მაია ჩალიგავა

სანოტარო ბიუროს მისამართი: ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. №84 (ბაღდათის საზოგადოებრივი ცენტრი)

მე, ნოტარიუს მაია ჩალიგავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მომმართა დავით შალამბერიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მიწდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მიწდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას, განვუმარტე მიწდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული მიწდობილობა. დავით შალამბერიძემ წაიკითხა მიწდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მიწდობილობას:

მიწდობილობა

დავით შალამბერიძემ (დაბადებული: 27.08.1983წ. პირადი №01009014779. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 4, ბინა 79), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმწდობი“, ამირან ქოჩიაშვილს (დაბადებული: 25.02.1947წ. პირადი №09001000365. მისამართი: ბაღდათი თბილისის ქ. N 16), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმწდობი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მიწდობილობის უფლებამოსილების ფარგლები:

მიმწდობი პირი უფლებამოსილია მიმწდობის სახელით უზრუნველყოს მიმწდობის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი ბაღდათი, კახიანის ქ. N84 (ს/კ 30.11.32.568), ნებისმიერი სახისა და შინაარსის სამშენებლო-არქიტექტურული პროექტის (მათ შორის დაშენების/მიშენების პროექტის) მომზადება და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადება და შეთანხმება, საპროექტო სამუშაოების შესრულება და შესაბამის სამშენებლო ნებართვების მოპოვება/მიღება, ნებართვების მოქმედების ვადის გაგრძელება, პროექტში ცვლილების (კორექტირების) შეტანა და გადაიხადოს ამ პროცედურის განსახორციელებლად საჭირო გადასახადები და მოსაკრებლები, მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიმწდობი პირი უფლებამოსილია მიმწდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის: უზრუნველყოს უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მომზადების, მშენებლობის წარმოების და სანებართვო პირობების შესრულების მთელი პროცესი (ზონის ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის პარამეტრების ცვლილება და სხვ), ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს მიმწდობი ყველა შესაბამისი დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში, იუსტიციის სამინისტროში, სსიპ საჯარო რეესტრში ეროვნულ სააგენტოში (აიღოს ამონაწერი, საკადასტრო რუკა, ელექტრონული სქემატური ნახაზები და ა.შ.), ტექნიკურში, არქივში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგობა, მერია, საკრებულო), გადაიხადოს გადასახადები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს აუცილებელი ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერები, მოაწეროს ხელი განცხადებებს, დოკუმენტაციას, ნებისმიერ საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მიმწდობი პირი ასევე უფლებამოსილია მოახდინოს მიმწდობის საკუთრებაში არსებული ზ/აღნიშნული უძრავი ქონების კომუნიკაციით უზრუნველყოფა (გაზი, ელექტროენერგია, წყალი), მათი მონტაჟი, დემონტაჟი, ჩართვა/გამორთვა, შეჩერება, აღდგენა, გადატანა, გამრიცხველიანება და სხვა; მოახდინოს ფართზე აბონენტად რეგისტრაცია/ჩაწერა და/ან რეგისტრაცია/ჩაწერა მოხსნა; ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით გათვალისწინებული ყოველგვარი საქმიანობა, იყოს მიმწდობის წარმომადგენელი გაზის, ელექტროენერგიის, წყლის ნებისმიერი კომუნიკაციის ტერიტორიულ სამსახურში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მიმწდობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მიმწდობილობის მოქმედების ვადა:

მიმწდობილობა გაცემულია 05 /ხუთი/ წლის ვადით.

მიმწდობილობის ეგზეკუტორების რაოდენობა:

მიმწდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე 3 /სამი/ ეგზეკუტორად, რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება ნოტარიუს მაია ჩალიგავას სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა „მიმწდობს“.

სანოტარო მომსახურების საზღაური:

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 10 /ათი/ ლარი + 2 /ორი/ ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური (ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად), სულ 12 /თორმეტი/ ლარი.

მიმწდობი: დავით შალამბერიძე

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



59195487750921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211237575



რეგისტრაციის თარიღი

05.11.2021 წ

ნოტარიუსი: მაია ჩალიგავა

მისამართი: ქ. ბაღდათი, ვახიანის ქ. №84 (ბაღდათის სამოგადობრივი ცენტრი)

ტელეფონი: 551115859

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

